

# გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლება

კავშირი “21-ე საუკუნე”

ივნისი 2018

- აზრის გამოხატვის თავისუფლება მოიცავს პირის შეხედულებების, პოზიციის, დამოკიდებულების, შეფასების გამოხატვას ნებისმიერ მისთვის საინტერესო საკითხზე. ეს თავისუფლება ვრცელდება არა მარტო იმ ინფორმაციებსა და მოსაზრებებზე, რომლებსაც უმრავლესობა ან ბევრი იზიარებს, ან გულგრილად ეკიდება, არამედ იმათზეც, რომლებიც არ ესადაგება ხელისუფლების, სახელმწიფოს ან უმრავლესობის პოზიციას.
- ტერმინი „გამოხატვა“ არ შემოიფარგლება შეხედულებების, აზრის გამოთქმის ნერილობითი და ზეპირი ფორმით. იგი მოიცავს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც იდეების გამოთქმასთან ან ინფორმაციის გადაცემასთან არის დაკავშირებული. ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, გადაცემის, გავრცელების საშუალებები - ბეჭდვითი მასალები, რადიომაუწყებლობა, ხელოვნების ნიმუშები, ფილმები, ელექტრონული საინფორმაციო სისტემები და ცულობა კონვენციის მე-10 მუხლით.
- დღეისათვის საქართველოში აშკარაა ღირებულებათა კონფლიქტი გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლების რეალიზაციისას. ამ თემაზე ჩვენ ხშირად ვხდებით ცხარე დებატებისა და დაპირისპირების მომსწრენი, რაც რისკის შემცველია არა მარტო ადამიანის უფლებების დარღვევის, არამედ, მთლიანობაში, ქვეყანაში სამოქალაქო სიმშვიდის დარღვევის მხრივ. ერთნი, ხელისუფლებისაგან შესაბამისი რეგულაციების მიღებას მოითხოვენ, რომლებიც სანქციებს დააწესებს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის. ოპონენტებს კი მიაჩნიათ, რომ ნებისმიერ ადამიანს ღირსებისა და პატივის შეურაცხყოფის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს და ამ სფეროში თუნდაც ადმინისტრაციული სახდელის შემოღება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ტოლფასი იქნება.

## სარჩევი

შესავალი .....	4
გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით .....	4
აზრის გამოხატვის თავისუფლება და სხვა პირთა რეპუტაციისა და უფლებების დაცვა.....	7
რეგიონული რეკომენდაციები .....	9
რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და ღვთის გმობა ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობაში .....	13
სასამართლო პროცესები.....	14
ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ განხილული საქმეები .....	15

## შესავალი

დღეისათვის საქართველოში აშკარაა ღირებულებათა კონფლიქტი გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლების რეალიზაციისას. ამ თემაზე ჩვენ პერიოდულად მომსწრენი ვხდებით როგორც ცხარე დებატებისა, ასევე, დიდი ვნებათაღელვისა და დაპირისპირებისა, რაც რისკის შემცველია არა მარტო ადამიანის უფლებების დარღვევის, არამედ, მთლიანობაში, ქვეყანაში სამოქალაქო სიმშვიდის დარღვევის მხრივ.

ერთნი ფიქრობენ, რომ საკმარისი არ არის არსებული საკანონმდებლო ბაზა და ხელისუფლებისაგან მოითხოვენ მიიღონ შესაბამისი რეგულაციები, რომლებიც სანქციებს დაანესებს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისა ან ღვთის გამოხატვის. ოპონენტებს კი მიაჩნიათ, რომ ნებისმიერ ადამიანს (მათ შორის მორწმუნეს) ღირსებისა და პატივის შეურაცხყოფის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს და ამ სფეროში თუნდაც ადმინისტრაციული სახედელის შემოღება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ტოლფასი იქნება.

ჩვენ არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ რომელი პოზიცია მიგვაჩნია მართებულად. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პრობლემაზე მუშაობისას გამოიკვეთა საზოგადოების სწორი ინფორმირების აუცილებლობა იმ პრაქტიკაზე, რაც მოწინავე დემოკრატიის და, უპირველეს ყოვლისა, ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებშია და, მეორე მხრივ, იმ რეკომენდაციებზე, რაც ევროპულ რეგიონულ სტრუქტურებს აქვთ შემუშავებული.

წინამდებარე გამოცემას, რასაკვირველია, არ გააჩნია პრეტენზია, რომ იგი ამ რთული ფენომენის შესახებ სრულფასოვან ანალიზს ან ინფორმაციას გვთავაზობს. თუმცა აქ მოყვანილი მასალები გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლების ურთიერთმიმართების საკითხებზე, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად შეავსებს ამ სფეროში არსებული ინფორმაციის დეფიციტს.

გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით

კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად:

1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს ასევე პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და მიუხედავად სახელმწიფო საზღვრებისა. ეს მუხლი არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიოსამაუწყებლო, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობისათვის ან ზნეობის დაცვისათვის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.

წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი მოიცავს გამოხატვის თავისუფლების სამ შემადგენელ ნაწილს:

- ა) საკუთარი აზრის თავისუფლებას;
- ბ) ინფორმაციის მიღების თავისუფლებას;
- გ) ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას.

საკუთარი აზრის (შეხედულების) თავისუფლება აბსოლუტური ხასიათისაა, ანუ მასზე არ შეიძლება გავრცელდეს ის შეზღუდვები, რომლებიც ჩამოთვლილია მუხლის მე-2 პუნქტში. ნებისმიერი ზემოქმედება ადამიანზე

იმის გამო, რომ მას აქვს რაიმე საკითხზე რაიმე სახის შეხედულება, შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოების ბუნებასთან. მოქალაქეები არ უნდა განიცდიდნენ იდეოლოგიურ დამუშავებას სახელმწიფოს მხრიდან. დაუშვებელია, ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს ცალმხრივი ინფორმაციის გავრცელებას, ან ჰყავდეთ პირი, პირთა ჯგუფი რაიმე სახის იდეოლოგიური წნეხის ქვეშ, რაც საკუთარი აზრის თავისუფლებისადმი სერიოზულ და მიუღებელ წინააღმდეგობას ნიშნავს. აღნიშნული თავისუფლება მოიცავს, ასევე, გარანტიას, რომ პირზე, მისგან განსხვავებული აზრის მიღების მიზნით, არ განხორციელდება ზემოქმედება.

პირის აზრის, შეხედულებების ჩამოყალიბებაში, გადამწყვეტია ინფორმაციის მიღების უფლება. შესაბამისად, ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს მიიღოს ინფორმაცია. მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვადასხვა საკითხზე მსჯელობა, დისკუსია, ანალიზი და ა.შ. ეს ეხება არა მარტო ისეთ ინფორმაციას, რომელიც მისაღებია ხელისუფლებისათვის ან რომელიმე უმრავლესობისათვის, არამედ ნებისმიერ ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება არ იყოს სასურველი მათთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიის წარმომადგენლების მიერ ინფორმაციის მიღების და იდეის თავისუფლება, რადგან ეს აუცილებელია საზოგადოების ინფორმირებისათვის მისთვის საჭირობო როტო და საინტერესო საკითხებზე. საზოგადოება, პირთა ჯგუფი, სხვადასხვა არაფორმალური გაერთიანებანი ალჭურვილნი არიან უფლებით, მიიღონ ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მათ აინტერესებთ. ინფორმაციის მიღების თავისუფლება უკრძალავს მთავრობას, შეზღუდოს პირი იმ ინფორმაციის მიღების მხრივ, რომელიც საჯაროა. ინფორმაციის მიღების თავისუფლება მოიცავს, აგრეთვე, იმ სახის ინფორმაციის მიღების უფლებას, რომლის გადაცემის (გავრცელების) სურვილიც აქვს მის მფლობელს.

თანამედროვე ეპოქაში ინფორმაციის მიღებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია აუცილებელ ტექნიკურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა. ამიტომ კონვენციის მე-

10 მუხლი, ასევე, იცავს პირის უფლებას, ჰქონდეს წვდომა ინფორმაციის გადაცემის ან მიღების სხვადასხვა სახის საშუალებაზე. ამ საშუალებებზე დანესებული ნებისმიერი შეზღუდვა, ან პირის შეზღუდვა, ისარგებლოს მისით, ნიშნავს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების ხელყოფას. თუმცა ხელისუფალთ უფლება აქვთ დაანესონ ინფორმაციის გამავრცელებელ იურიდიულ პირთა ლიცენზირება. ამასთან, სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს სალიცენზიო მოთხოვნები და პრაქტიკა. ეროვნულ ხელისუფლებას ლიცენზირების მექანიზმის შემოღება მხოლოდ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით შეუძლია და ეს ზომები ხელს არ უნდა უშლიდეს გამოხატვის თავისუფლებას, გარდა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში არსებული მოთხოვნებისა. აუდიოვიზუალურ საშუალებებზე სახელმწიფო მონოპოლიის დანესება ეწინააღმდეგება მე-10 მუხლის მოთხოვნებს. ამგვარი მონოპოლიზაცია არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და არ შეიძლება გამართლებული იყოს გადაუდებელი სოციალური მოთხოვნებით.

აზრის გამოხატვის თავისუფლება მოიცავს პირის შეხედულებების, პოზიციის, დამოკიდებულების, შეფასების გამოხატვას ნებისმიერ მისთვის საინტერესო საკითხზე. ეს თავისუფლება ვრცელდება არა მარტო იმ ინფორმაციებსა და მოსაზრებებზე, რომლებსაც უმრავლესობა ან ბევრი იზიარებს, ან გულგრილად ეკიდება, არამედ იმათზეც, რომლებიც არ ესადაგება ხელისუფლების, სახელმწიფოს ან უმრავლესობის პოზიციას. ეს უფლება შეეხება არა მხოლოდ ისეთ ინფორმაციას ანიდეას, რომელსაც სახელმწიფო კეთილგანწყობით იღებს, არამედ ისეთსაც, რომელიც მიუღებელია ხელისუფლების ან მოსახლეობის ნაწილისათვის. ამას მოითხოვს პლურალიზმის, ლიბერალიზმისა და ტოლერანტობის პრინციპები, რომელთა გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება. უფრო მეტიც, აზრის გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ისეთი შეხედულებების, პოზიციის გამოხატვას, რომელიც შეიძლება შეურაცხყოფელი, თავზარდამცემი ან შემამფოთებელი იყოს სახელმწიფოსა თუ მოსახლეობის ნაწილისთვის.

ტერმინი „გამოხატვა“ არ შემოიფარგლება შეხედულებების, აზრის გამოთქმის წერილობითი და ზეპირი ფორმით. იგი მოიცავს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც იდეების გამოთქმასთან ან ინფორმაციის გადაცემასთან არის დაკავშირებული. ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, გადაცემის, გავრცელების საშუალებები - ბეჭდვითი მასალები, რადიომაუწყებლობა, ხელოვნების ნიმუშები, ფილმები, ელექტრონული საინფორმაციო სისტემები დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით.

შეფასებითი მსჯელობა, რომელიც პოლიტიკური ხასიათის მოვლენათა სფეროს შეეხება, განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს, ვინაიდან სწორედ ასეთი აზრი ხდება საზოგადოებაში პლურალიზმის არსებობის წინაპირობა. პოლიტიკური ბრძოლის ან საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (სტრასბურგის სასამართლო) ბევრად მეტ ტოლერანტობას ამჟღავნებს.

მედიის საშუალებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი საზოგადოებრივი აზრის გამოვლენისა და ფორმირების საუკეთესო საშუალებაა, ხოლო პოლიტიკური დებატები დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია. მას აკისრია პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გავრცელების მისია. თუმცა მედიის საშუალებებმა არ უნდა გადააჭარბონ იმ საზღვრებს, რაც დადგენილია სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად.

საზოგადოებრივ მოთხოვნათა მრავალფეროვნება შეუძლებელია დაკმაყოფილდეს მხოლოდ ერთი სამაუწყებლო კომპანიის მეშვეობით. დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს წყაროების ფართო სპექტრი, რათა პლურალიზმის პრინციპები იქნეს დაცული. მე-10 მუხლი მოიცავს, ასევე, მასობრივი ინფორმაციის აუდიოვიზუალური საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით გაშვებულ კომერციულ რეკლამასაც. თუმცა ამ სფეროში სახელმწიფოს შეზღუდვების დანერგვის ბევრად მეტი უფლება აქვს.

მაგ. რეკლამა, რომელიც ბავშვებისათვის არის განკუთვნილი, არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც მათ ზიანს მიაყენებს. ასეთ რეკლამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვების ფიზიკური, ფსიქიკური თუ სულიერი თავისებურება.

მხატვრული ნიმუშის შექმნა, აგრეთვე, მისი გავრცელება, ინფორმაციის გავრცელების ელემენტია. სამსახიობო თავისუფლების, მხატვრული ნამუშევრების გავრცელების შეზღუდვა მხოლოდ არადემოკრატიული საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. შემოქმედი თავის ნაწარმოებებში გამოხატავს არა მარტო პირად მსოფლმხედველობას, არამედ აზრს იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც იგი ცხოვრობს. ამ გაგებით, ხელოვნება ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და საზოგადოების წინაშე აყენებს აქტუალურ საკითხებს.

ამასთან, კონვენციის მე-10 მუხლით აღიარებული უფლებები მოქმედებს „საზღვრების მიუხედავად“. ასე, რომ უშუალოდ უცხოურ გამოცემებთან, საინფორმაციო წყაროებთან მიმართებაში არ შეიძლება რეგულირების რაიმე სახის განსხვავებული წესების შემოღება.

*მე-10 მუხლით დაშვებული შეზღუდვები, მუხლის მეორე ნაწილისთვის*

ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება აბსოლუტური არ არის. სახელმწიფოს უფლება აქვს, განახორციელოს მართლზომიერი ჩარევა შეხედულების, ინფორმაციისა და მოსაზრების ნებისმიერი საშუალებით გამოხატვისას. თუმცა ეს ჩარევა მხოლოდ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად უნდა მოხდეს.

უპირველეს ყოვლისა, ყველა, ვინც სარგებლობს გამოხატვის თავისუფლებით, გარკვეულ ვალდებულებებსაც უნდა ემორჩილებოდეს - პირმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თავი უნდა აარიდოს ისეთ გამონათქვამებს ან მსჯელობას, რომელიც შეურაცხმყოფელია სხვათათვის და ლახავს მათ უფლებებს, თვით გამონათქვამი ან მსჯელობა კი არ შეიცავს

არაფერს ისეთს, რაც საზოგადოების პროგრესს შეუწყობდა ხელს.

კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოს შეუძლია, ჩაერიოს გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში სამი ერთობლივი პირობით:

- ჩარევა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით;
- ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს ერთი ან მეტი შემდეგი ინტერესის ან ღირებულების დაცვას: ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის ან ზნეობის, სხვათა რეპუტაციის ან უფლების დაცვა, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება და სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება;
- ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევა კანონიერად ჩაითვლება, თუ სამივე მოთხოვნას აკმაყოფილებს. მტკიცების ტვირთი სამივე მოთხოვნის შესრულების შესახებ ეკისრება სახელმწიფოს. სტრასბურგის სასამართლო განიხილავს სამივე პირობას ზემოხსენებული რიგითობის მიხედვით. თუ იგი დაადგენს, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო სამიდან თუნდაც ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულება, მიიჩნევს, რომ ჩარევა იყო გაუმართლებელი და, შესაბამისად, მოხდა გამოხატვის თავისუფლების დარღვევა.

გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას შესაძლო ჩარევის (ფორმალობა, პირობები, შეზღუდვები ან სანქციები) დიაპაზონი ძალიან ფართოა, არ არსებობს წინასწარ დადგენილი ფარგლები. სტრასბურგის სასამართლო თითოეულ კონკრეტულ საქმეს განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას, მოხდა თუ არა ჩარევა, ითვალისწინებს რა ეროვნული ხელისუფლების მიერ გამოყენებული კონკრეტული ზომის შემზღვეველ გავლენას გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაზე. ასე-

თი ჩარევა შეიძლება იყოს: სისხლის სამართლებრივი მსჯავრდება (ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა), სამოქალაქო ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, პუბლიკაციის აკრძალვა, გაზეთში პირის სურათის გამოქვეყნების აკრძალვა, პუბლიკაციების ან სხვა ნებისმიერ საშუალებათა კონფისკაცია და ა.შ.

განვიხილოთ სამივე სავალდებულო პირობა. „კანონით გათვალისწინებული“ ნიშნავს, რომ შიდა სახელმწიფოებრივ სამართალში აუცილებლად უნდა არსებობდეს სამართლებრივად ცხადი ნორმა, დეტალური დებულებები. კანონი უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი..

გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. კანონიერია მიზნები, თუ ისინი ემსახურება ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს, ტერიტორიულ მთლიანობას, საზოგადოებრივი უნესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთას, ჯანმრთელობის, მორალის, სხვა პირთა რეპუტაციის დაცვას, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნებას, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მხარდაჭერას. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებელი საფუძველების ჩამონათვალი ამომწურავი ხასიათისაა. ეროვნულმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს, ემსახურება თუ არა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იმ ფასეულობებს და მიზნებს, რომლებიც კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტში არის მოცემული. მაგალითად, სხვა პირთა რეპუტაციის შელახვის საფუძველზე ჟურნალისტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმის აღძვრის გამართლებული მიზანია სხვა პირთა რეპუტაციის ან უფლების დაცვა. გაზეთის მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოქვეყნების საფუძველზე მისი საქმიანობის აკრძალვა შეიძლება გამართლებული იყოს ეროვნული უსაფრთხოების მიზნით. ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ მოხდა რეალური ინტერესებისა და მიზნების დაცვა და არა გაურკვეველი, დაუსაბუთებელი ვარაუდით შეზღუდვა.

„დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი“ ნიშნავს, პირველ რიგში, დასახული მიზნის პროპორციულობას - ცალკეული პირისა და ფართო საზოგადოების უფლებათა შორის პროპორციული ბალანსის დაცვას. ამ ცნების დადგენისას მნიშვნელოვანი ენიჭება გამონათქვამის (მსჯელობის) შინაარსს. მაგალითად, პოლიტიკური ხასიათის გამონათქვამებზე შეზღუდვების დანესების დასაბუთება უფრო კონკრეტული უნდა იყოს, ვიდრე სხვა სახის გამონათქვამებზე (მაგ., მხატვრულზე). ყურადღება ექცევა, ასევე, ინფორმაციის გადაცემის საშუალებებს. ინფორმაცია, რომელიც ტელევიზიითა და რადიოთი გადაიცემა, უფრო დიდ აუდიტორიაზე ვრცელდება, ვიდრე პრესით გამოქვეყნებული. შესაბამისად, ეს ინფორმაცია ზედმინვენით შემონმებას მოითხოვს. შეზღუდვების დასაბუთებისას მნიშვნელოვანი ენიჭება გამოყენებული აკრძალვის ხასიათს. საჭიროა, ყურადღება მიექცეს არსებობდა თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში უფრო მსუბუქი ფორმის აკრძალვის შემოღების ალტერნატივა, ვიდრე სახელმწიფომ დაანესა. შეზღუდვა სოციალური აუცილებლობის ადეკვატური უნდა იყოს.

აზრის გამოხატვის თავისუფლება და სხვა პირთა რეპუტაციისა და უფლებების დაცვა

არ არსებობს მორალისა და ზნეობის განსაზღვრის ერთიანი ევროპული სტანდარტები. ყოველი სახელმწიფომ ცნებებს მოცემული ქვეყნის კულტურული და ისტორიული ფასეულობების საფუძველზე განსაზღვრავს. შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფო განსხვავებულ კრიტერიუმებს აწესებს, რომელთა საფუძველზეც შეზღუდვის განსხვავებული ხარისხი დგინდება. თუმცა სტრასბურგის სასამართლო მზად არის, ჩაერიოს, თუ ამგვარი შეზღუდვა ზედმეტად ფართოა.

„ზნეობასა“ და გამოხატვის თავისუფლებას შორის კონფლიქტისას, სასამართლო ეროვნულ ხელისუფლებას უტოვებს შეფასების ფართო ზღვარს, რაც გამართლებულია „ზნეობის“ სპეციფიკით თითოეულ ნევრ სახელმწიფოში ან

თუნდაც ერთსა და იმავე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

სტრასბურგის სასამართლომ არაერთხელ მიუთითა ზნეობის ერთიანი ცნების არარსებობაზე ხელშემკვრელი სახელმწიფოების ტერიტორიების ფარგლებში. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ეროვნული სასამართლოები უკეთეს პოზიციაში არიან, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, მიიღონ გადაწყვეტილება „ზნეობის“ საკითხებზე თავიანთ სახელმწიფოებში არსებული რეალობის გათვალისწინებით.

ეროვნულმა სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის ფაქტი, რომ დაუშვებელია გამოხატვის თავისუფლების ზოგადი და/ან მუდმივი აკრძალვა თუნდაც ისეთ მგრძობიარე სფეროში, როგორცაა ზნეობა. ეროვნულ სასამართლოებს პროპორციულობის პრინციპის დასაცავად ეძლევათ სახელმძღვანელო მითითებები: მნიშვნელოვანია გამოხატვის სამიზნე ჯგუფი, მხედველობაშია, აგრეთვე, მისაღები ბავშვები და ახალგაზრდები; გასათვალისწინებელია ღონისძიებები, რომლებიც ზღუდავს გამოხატვის ფორმაზე ხელმისაწვდომობას „ამორალური“ ზეგავლენის შემცირებაზე ზრუნვის მიზეზით. თვითნებობის თავიდან აცილების მიზნით დადგენილი უნდა იქნეს „ზნეობისათვის“ მიყენებული რეალური ზიანი.

სასამართლო არ უარყოფს პოლიტიკოსთა თუ სახელმწიფო მოხელეთა დაცვის უფლებას, მაგრამ მიაჩნია, რომ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საშუალება, შეიტყოს და შეიქმნას წარმოდგენა პოლიტიკური ლიდერების იდეებისა და პოზიციის შესახებ. პოლიტიკური დისკუსიის შესაძლებლობა დემოკრატიული საზოგადოების კონცეფციის ქვაკუთხედი. შესაბამისად, პოლიტიკოსებისადმი გამოთქმული კრიტიკის არეალი ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირების მიმართ. პოლიტიკოსებს თმენის ვალდებულება აკისრიათ მათდამი საზოგადოებისა და ჟურნალისტების მხრიდან გამოხატული ინტერესისადმი.

ეროვნული კანონი, რომელიც პოლიტიკურ თუ

სახელმწიფო მაღალი თანამდებობის პირთა რეპუტაციის დასაცავად განსაკუთრებულ, მკაცრ სანქციებს აწესებს (განსაკუთრებით მედიის მხრიდან), შეუთავსებელია მე-10 მუხლის შინაარსთან. იგივე შეიძლება გავრცელდეს პირებზე, რომლებიც არ არიან საჯარო მოხელენი, მაგრამ თავიანთი მდგომარეობის გამო შეუძლიათ, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და მოსახლეობის მომეტებულ ინტერესს იწვევენ.

„სხვა პირთა უფლებების“ დაცვის კონტექსტში სასამართლო განიხილავს რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მოქალაქეთა რელიგიური მრწამსის შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით „აუცილებელი ჩარევის“ შეფასება მნიშვნელოვანწილად სახელმწიფოზეა დამოკიდებული. პირველ რიგში, ეროვნულმა ხელისუფლებამ, და არა საერთაშორისო სასამართლომ, უნდა მისცეს შეფასება არსებულ ვითარებას.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ რელიგიური ჯგუფების (მიუხედავად იმისა, არიან ისინი რელიგიური უმრავლესობა თუ უმცირესობა) მიმართ შეიძლება გამოითქვას კრიტიკა. რელიგიური ჯგუფები მოთმინებით უნდა ეკიდებოდნენ მათი მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს. ასევე, უნდა შეეფუონ იმ გარემოებას, რომ საზოგადოებაში გავრცელებული იქნება ისეთი მოძღვრება, რომელიც მათ რწმენას ეწინააღმდეგება.

რელიგიური მოძღვრების უარყოფა ან კრიტიკის გარკვეული ხერხების დაშვების ნებართვა გამოიწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას თუ იგი არ უზრუნველყოფს კონვენციის მე-9 მუხლის (რწმენისა და რელიგიის თავისუფლება) და გარანტირებული უფლებების მშვიდობიან დაცვას.

საქმეებში - „ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ“, „ვინგროვი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ - სასამართლომ არ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა, როდესაც სახელმწიფომ აკრძალა

ისეთი ფილმების ჩვენება, რომლებიც არასათანადოდ წარმოაჩენდნენ ქრისტიანულ აღმსარებლობას. ამგვარად, სასამართლო ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ, თუ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის აუცილებლობა „სხვა პირთა დაცვას“ ემსახურება, ასეთი ქმედება მართლზომიერია.

კონვენციის მე-10 მუხლი და მე-9 მუხლი (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება)

კონვენციის მე-10 მუხლით დადგენილი გამოხატვის თავისუფლება მჭიდროდ უკავშირდება კონვენციის მე-9 მუხლით უზრუნველყოფილ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. ეს ნიშნავს რელიგიისა თუ რწმენის, მათ შორის, არარელიგიური მრწამსის (პაციფიზმის) გამჟღავნების, შესაბამისი იდეების პროპაგანდის თავისუფლებას, მათ შორის, საკუთარ რწმენასა თუ რელიგიაზე სხვათა დაყოლების მიზნით. ამიტომ ცხადია, რომ მე-10 მუხლში ჩამოყალიბებული უფლება, რომელიც, საზოგადოდ, ნებისმიერ საკითხზე შეხედულებებისა თუ ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას იცავს, არსებითად, რელიგიისა და რწმენის საკითხებში შეხედულებების გამოთქმის თავისუფლებასაც მოიცავს. მაგრამ როდის რომელ მუხლს უნდა დვეყრდნოთ მე-9-ს თუ მე-10-ს, ეს საქმის გარემოებაზე, უწინარესად, გამოხატული შეხედულებების ბუნებასა და ხასიათზეა დამოკიდებული. კონვენციის მე-9 მუხლში მითითებულია, რომ ყველას აქვს უფლება, ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების შესრულებით. შესაბამისად, თუ შეხედულებებისა და იდეების გავრცელების მიზნითადამიანი თავისი რწმენისა თუ რელიგიის აღმსარებლობას, ქადაგებას, წესებსა და რიტუალებს ახორციელებს, ასეთი შეხედულებებისა და იდეების შეზღუდვის გამართლება კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე უნდა მოხდეს. იდეებისა და შეხედულებების საკუთრივ რელიგიური თემატიკა გადამწყვეტი არ არის. მთავარია,



დადგინდეს, რომ საქმე დანამდვილებით შეეხებოდა საკუთარი რელიგიის, რწმენისა თუ მრწამსის გამჟღავნების თავისუფლებას, რაც განუყოფელი კომპონენტია კონვენციის მე-9 მუხლით უზრუნველყოფილი თავისუფლებისა. ყველა სხვა შემთხვევაში, რელიგიისა თუ რწმენის საკითხებზე შეხედულებების გამოთქმა კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების ფარგლებში ექცევა.

როგორც მე-9, ასევე მე-10 მუხლი იცავს აზრის თავისუფლებას, ანუ ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება (მათ შორის, რელიგიური), რაც არანაირ პირობებში შეზღუდვას არ ექვემდებარება.

შესაბამისად, შეურაცხყოფელი ან უხამსი გამონათქვამები ძალიან ცუდად დაცული, ანდა შეიძლება საერთოდ დაუცველი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მათ ძალზე მცირე ღირებულება გააჩნიათ ჭეშმარიტებასთან მიახლოების საქმეში.

საბოლოო ჯამში, არაღირებული, ნაკლებად ღირებული ან უსარგებლო იდეები, შეხედულებები და ინფორმაცია, ისინიც, რომლებიც ვერ მიიჩნევა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობად, ანდა ამისი ნაკლები შანსი აქვთ, მაინც კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების ფარგლებშია მოქცეული, არ მოიაზრება ამ მუხლის გამოყენების გამომრიცხველ გარემოებად და, ცალკე აღებული, არასდროს ქმნის საკმარის ფორმალურ იურიდიულ საფუძველს მათი დაცულობის უარსაყოფად. მაგრამ, პრაქტიკულად, კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტში მათი დაცულობის პერსპექტივა უკიდურესად მცირეა და, როგორც წესი, პრიორიტეტი მათთან დაპირისპირებულ ღირებულებას ენიჭება.

შესაბამისად, შეურაცხყოფელი გამოთქმები, უხამსობა, პორნოგრაფია, სხვა სფეროები თუ ცალკეული შემთხვევები, რომელთა მიმართაც ზემოაღნიშნული შეფასებები შესატყვისია, თეორიულად, გამორიცხული არ არის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტს დაექვემდებაროს, თუმცა, ფაქტობრივად, არ არის ან ძალზე

მცირედით არის დაცული.

## რეგიონული რეკომენდაციები

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2006 წელს მიიღო რეზოლუცია #1510 „სიტყვის თავისუფლება და რელიგიური მრწამსის პატივისცემა“.

რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრისა და გამოხატვის თავისუფლება უნდა უშვებდეს ღია მსჯელობას რელიგიისა და აღმსარებლობის საკითხებზე. პიროვნებებზე თავდასხმა მათი რელიგიის ან რასის საფუძველზე დაუშვებელია, თუმცა კანონები მკრეხელობის შესახებ არ უნდა იქნეს გამოყენებული გამოხატვისა და აზრის თავისუფლების შესაზღუდად.

გამოხმაურებები იმ მხატვრულ სახეებზე, რომლებიც უარყოფითად აღიქმება და მიეწოდება წიგნების, ფილმების, კარიკატურების, ფერწერისა და ინტერნეტის საშუალებით, ბოლო ხანებში ინვესტ კამათს იმაზე, რელიგიური მრწამსის პატივისცემით უნდა შეიზღუდოს თუ არა გამოხატვის თავისუფლება და თუ უნდა შეიზღუდოს, რა დოზით. დაისვა, აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პასუხისმგებლობის, თვითრეგულირებისა და თვითცენზურის საკითხი.

მკრეხელობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ასამბლეა შეგვახსენებს, რომ კანონები, რომლებიც სასჯელს აწესებს მკრეხელობის და რელიგიური წეს-ჩვეულებებისა თუ მოძღვრებების კრიტიკისათვის, ხშირად უარყოფით გავლენას ახდენდა მეცნიერულ და სოციალურ პროგრესზე. განათლების გავრცელებასთან ერთად, მდგომარეობა თანდათან შეიცვალა და დასრულდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნით. თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებები მიისწრაფვიან საერო ცხოვრებისაკენ და პიროვნების თავისუფლება უფრო აღელვებთ.

ამასთან, დემოკრატიულ საზოგადოებაში რელიგიურ გაერთიანებებს, კანონმდებლობისა

და ადამიანის უფლებების დაცვის ნორმების შესაბამისად, უფლება აქვთ, თავი დაიცვან კრიტიკისა და დაცინვისაგან. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მოქალაქეთა განათლებასა და ინფორმირებულობას სხვადასხვა რელიგიის უფრო ღრმად აღქმის მიზნით, რათა მოქალაქეების დამოკიდებულება ჩამოყალიბდეს განათლებისა და რელიგიის შესახებ ასამბლეის #1720 (2005) რეკომენდაციის შესაბამისად. სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა შეიმუშაონ და გაბედულად განახორციელონ კარგად მოფიქრებული სტრატეგია, მათ შორის, რელიგიური დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო საკანონმდებლო და სასამართლო ღონისძიებები.

ყოველთვის, როდესაც რომელიმე კონკრეტული შემთხვევის დროს საჭირო ხდება ადამიანის ურთიერთწინააღმდეგობრივ უფლებათა ბალანსის დაცვა, ეროვნულ სასამართლებსა და ეროვნულ კანონმდებლებს შეფასების საკმაოდ ფართო დისკრეცია აქვთ. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ პოლიტიკური გამონათქვამების შეზღუდვის ან საზოგადოებრივი ინტერესის გამოწვევი საკითხების განხილვაზე რაიმე ჩარევის შესაძლებლობა ძალზე მცირეა. იმ საკითხებზე კი, რომლებმაც შეიძლება შეურაცხყოს პირადი მორალური მრწამსი ან რელიგია, გამოხატვის თავისუფლების დასარეგულირებლად არსებობს შეფასების ფართო დისკრეცია. ის, თუ რამ შეიძლება შეურაცხყოს გარკვეული რელიგიის მიმდევარი პირი, დიდად არის დამოკიდებული დროსა და ადგილზე.

ასამბლეას მიაჩნია, რომ გამოხატვის თავისუფლება, დაცული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, შემდგომში მეტად აღარ უნდა შეიზღუდოს ზოგიერთი რელიგიური ჯგუფის გამძაფრებული მგრძობელობის შესაძლო გაზრდის გათვალისწინებით. ამავე დროს, ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ სიძულვილის შემცველი გამონათქვამები ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფის მიმართ შეუთავსებელია კონვენციითა და სასამართლოს საქმიანობით გარანტირებულ ძირითად უფლებებთან და

თავისუფლებასთან.

ასამბლეა, ასევე, სთავაზობს პროფესიონალ უურნალისტებსა და მათ პროფესიულ ორგანიზაციებს, განიხილონ ეთიკის საკითხები, რომლებიც უკავშირდება რელიგიურ მრწამსსა და მგრძობელობას. ასამბლეა მოუწოდებს, შეიქმნას ორგანოები პრესის ქმედებებზე საჩივრების განსახილველად, ომბუდსმენის თანამდებობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ან სხვა თვითრეგულირებადი ორგანოები სადაც ასეთი ორგანოები არ არსებობს, იმისათვის, რომ განიხილონ სამართლებრივი დაცვის შესაძლო საშუალებები რელიგიური მრწამსის შეურაცხყოფის შემთხვევაში.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2007 წელს მიიღო რეკომენდაცია #1805 - „ღვთის გამოხატვა, რელიგიური შეურაცხყოფა და მტრული გამონათქვამები პირთა მისამართით მათ რელიგიასთან დაკავშირებით“.

რეკომენდაციაში ასამბლეამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ერთგულება აზრის გამოხატვის თავისუფლების და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების მიმართ, რაც დემოკრატიის ქვაკუთხედაა. აზრის გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მარტო იმ გამონათქვამების მიმართ, რომლებიც დადებითად აღიქმება ან უვნებლად ითვლება, არამედ იმ გამონათქვამების მიმართაც, რომლებმაც შეიძლება გააოგნოს, შეურაცხყოს ან შეამფოთოს სახელმწიფო ან მოსახლეობის რომელიმე ნაწილი. ყოველმა დემოკრატიულმა საზოგადოებამ უნდა დაუშვას ღია განხილვა რელიგიისა და რწმენის საკითხებზე.

ასამბლეა აღიარებს კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემისა და გაგების მნიშვნელობას ევროპასა და მთელ მსოფლიოში და მიიჩნევს, რომ აუცილებელია მუდმივი დიალოგი. პატივისცემა და გაგება დაგვეხმარება, თავიდან ავიცილოთ დაძაბულობა საზოგადოებაში და ფიზიკურ პირებს შორის. ყოველი ადამიანი იმსახურებს პატივისცემას მისი რელიგიური მრწამსის მიუხედავად.

მრავალკულტურულ საზოგადოებებში ხშირად აუცილებელი ხდება აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების ერთმანეთთან მორიგება. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ამ თავისუფლებებზე შეზღუდვების დანერგვა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში და დასახული მიზნების თანაზომიერი. ამასთან, სახელმწიფოებს აქვთ შეფასების გარკვეული დიაპაზონი, რადგან ეროვნულ ხელისუფლებებს შეიძლება მოუწიოთ, სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღება ამა თუ იმ საზოგადოების თავისებურებების გათვალისწინებით. ამ დიაპაზონის გამოყენებაზე ზედამხედველობა ეკისრება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

ღვთის გმობა, რელიგიური შეურაცხყოფა და მტრული გამონათქვამები პირთა მისამართით მათ რელიგიასთან დაკავშირებით სწორედ ის საკითხებია, რომელთა მიმართაც თავად სახელმწიფო განსაზღვრავს, თუ რა უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილ ფარგლებში. ამ საკითხთან დაკავშირებით ასამბლეა მიიჩნევს, რომ ღვთის გმობა არ უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად. ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდეს მორალური, ზნეობრივი ხასიათის და კანონიერების საკითხები, საჯარო ხასიათის საკითხები და საკითხები, რომლებიც ეხება კერძო სფეროს. თუმცა დღეს ასეთ საფუძველზე დევნის შემთხვევები წევრ სახელმწიფოებში ძალიან იშვიათია სხვა ქვეყნებში ასეთი შემთხვევები ძალზე მრავალრიცხოვანია.

ასამბლეა ეთანხმება ვენეციის კომისიას, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში რელიგიური ჯგუფები, ისევე, როგორც მოსახლეობის ნებისმიერი სხვა ჯგუფები, უნდა შეეგუონ კრიტიკულ საჯარო განცხადებებს და მსჯელობას მათი საქმიანობის, მოძღვრებისა და რწმენის შესახებ იმ პირობით, რომ ასეთი კრიტიკა არ გადავა წინასწარგანზრახულ

და დაუსაბუთებელ შეურაცხყოფაში და არ იქნება ნაქეზება საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევის ან რომელიმე რელიგიის მიმდევართა დისკრიმინაციისაკენ. ღია მსჯელობა, დიალოგი და რელიგიური ჯგუფებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ურთიერთობის მექანიზმის გაუმჯობესება გამოყენებული უნდა იყოს ვითარების შესამსუბუქებლად მაშინ, როდესაც იგი იწყებს გონივრული ფარგლებიდან გამოსვლას.

ასამბლეა შეგვასხენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამის გადანყვეტილებებს, რომლებიც მიღებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებზე. თანაც, რადგან პოლიტიკური გამონათქვამების ან საზოგადოებრივი ინტერესის გამომწვევი საკითხების განხილვის შეზღუდვისათვის ძალიან ცოტა საფუძველი არსებობს, ამიტომ პირადი მორალურ-ზნეობრივი მრწამსის, განსაკუთრებით კი რელიგიური შეხედულებების, შეურაცხმყოფელ საკითხებზე აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას სასამართლო ნებას რთავს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს უფრო ფართო დიაპაზონის ფარგლებში შეაფასონ ვითარება.

ამასთან, ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ შეფასების დიაპაზონი უსაზღვრო სულაც არ არის და რომ აზრის გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებებს.

ასამბლეა აცნობიერებს, რომ წარსულში ეროვნული კანონმდებლობა და სამართალწარმოება ღვთის გმობის ან სხვა რელიგიური დანაშაულის მიმართ ხშირად ასახავდა კონკრეტულ სახელმწიფოებში ცალკეული რელიგიის გაბატონებულ მდგომარეობას. წევრმა სახელმწიფოებმა და პარლამენტებმა უნდა გაითვალისწინონ ევროპაში რელიგიური აღმსარებლობის რაოდენობის მატება, სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის დემოკრატიული პრინციპი და უნდა გადახედონ კანონებს ღვთის

გმობის შესახებ.

ასამბლეა აღნიშნავს, რომ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, კონვენციაში მონაწილე მხარეები ვალდებული არიან, დაემონტონ დისკრიმინაცია და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები მასთან საბრძოლველად. ამ კონვენციის ხელმომწერი ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ ამა თუ იმ რელიგიის მიმდევარი პირები არ აღმოჩნდნენ არც უპირატეს და არც დაჩაგრულ მდგომარეობაში, ღვთის გმობის შესახებ კანონებისა და მათთან დაკავშირებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შესაბამისად.

ესა თუ ის გამონათქვამი მტრულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მიმართულია ცალკეული პირის ან პირთა კონკრეტული ჯგუფის წინააღმდეგ. ეროვნული კანონმდებლობა დასჯადად უნდა აცხადებდეს იმ გამონათქვამებს, რომლებიც მოუწოდებს სიძულვილისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ძალადობისაკენ პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ მათ მიერ აღიარებულ რელიგიასთან დაკავშირებით.

ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ რელიგიის თავისუფლება, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით, მოიცავს აგრეთვე, ამ რელიგიის უფლებას, დაადგინოს ღირებულებები თავისი მიმდევრებისათვის. რელიგიურ გაერთიანებას უფლება აქვს, დასაჯოს თავისი წევრი რელიგიური დარღვევებისათვის, თუმცა სასჯელი არ უნდა ემუქრებოდეს მის სიცოცხლეს, ფიზიკურ ხელშეუხებლობას, თავისუფლებას, ქონებას და ა.შ.

ასამბლეა მიიჩნევს, რომ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სასჯელს მხოლოდ რელიგიურ საკითხებზე ისეთი გამონათქვამებისათვის, რომლებიც

წინასწარგანზრახვით უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოუწოდებს აშკარა ძალადობისაკენ.

ასამბლეა რეკომენდაციას აძლევს მინისტრთა კომიტეტს:

გათვალისწინოს სასჯელი იმ გამონათქვამებისათვის, რომლებიც მოუწოდებს სიძულვილის, დისკრიმინაციის ან ძალადობისაკენ პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ გარკვეული რელიგიის კუთვნილების ან ნებისმიერ სხვა საფუძველზე;

აკრძალოს იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოქმედებები, რომლებიც წინასწარგანზრახვით უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოუწოდებს აშკარა ძალადობისაკენ რელიგიურ ნიადაგზე;

გადახედოს, რომ ღვთის გმობა, როგორც გარკვეული რელიგიის შეურაცხყოფა, არ განიხილებოდეს სისხლის სამართლის დანაშაულად;

2008 წლის 23 ოქტომბერს ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში გამოხატვის თავისუფლებასა და აღმსარებლობის თავისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, სადაც გაანალიზებული იყო მკრეხელობის, რელიგიური შეურაცხყოფისა და რელიგიური სიძულვილის გაღვივების საკითხები ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით. დასკვნაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, არც აუცილებელია და არც სასურველი, რომ რელიგიური შეურაცხყოფა აღიარებული იქნეს დანაშაულად რელიგიური სიძულვილის გაღვივების ელემენტის გარეშე, ხოლო მკრეხელობა, როგორც დანაშაული უნდა გაუქმდეს.

რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და ღვთის გამოხატვის ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობაში

მიუხედავად ზემოაღნიშნული რეკომენდაციებისა, დღეისათვის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასა და ღვთის გამოხატვის სანქციები გვხვდება ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების უმეტეს ნაწილში. არ არსებობს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ერთიანი ზოგადი დეფინიცია და მისი განმარტება კონკრეტული ქვეყნის საკანონმდებლო დისკრეციაა.

ესპანეთში პირს, რომელიც შებლაღავს რომელიმე რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრის გრძნობებს საჯაროდ (სიტყვიერად, წერილობით თუ სხვა სახის დოკუმენტით), შეურაცხყოფს მათ მოძღვრებას, რწმენას, რიტუალებსა და ცერემონიებს ან, ასევე, საჯაროდ დაამცირებს და შეურაცხყოფას მიაყენებს ამ აღმსარებლობის მიმდევარ პირებს, შეიძლება დაეკისროს ჯარიმა რვიდან თორმეტ თვემდე გამომუშავებული თანხის ოდენობით.

პირთა მიმართ, რომლებიც საჯაროდ (სიტყვიერად, წერილობით თუ სხვა სახის დოკუმენტით) დაამცირებენ თუ შეურაცხყოფენ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც არც ერთი რელიგიური აღმსარებლობის მიმდევარი არ არის, სასჯელის იგივე ზომა გამოიყენება (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ.525-ე).

2008 წელს ინგლისში, უელსში, შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მკრეხელობას, მიმართულს მხოლოდ ქრისტიანული (ანგლიკანური) ეკლესიის წინააღმდეგ, დანაშაულის კვალიფიკაცია მოეხსნა და მიღებულ იქნა „სისხლის სამართალი და იმიგრაციის აქტი“ რომლითაც დაწესდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შემდეგ საკითხებზე: ექსტრემალური პორნოგრაფია, ბავშთა პორნოგრაფია, სიძულვილის ნიშანდობილი ჩადენილი დანაშაული და ა.შ.

ნიდერლანდებში 2014 წლიდან ღვთის გამოხატვის, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული გაუქმებულია.

გერმანიაში, სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც განსაზღვრული მეთოდებით აღვივებს უფლებს რომელიმე რელიგიური ჯგუფის მიმართ, ისჯება სამ წლამდე პატიმრობით ან ჯარიმით. ასევე, ისჯება ის პირი, რომელიც აგრესიულად უპირისპირდება რელიგიური ან ფილოსოფიური შეხედულებების შინაარსს ისე, რომ ეს საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს. იგივე ეხება იმ პირს, რომელიც ცდილობს, ჩაშალოს გერმანიაში არსებული რომელიმე რელიგიური გაერთიანების მიერ აღვლენილი ღვთისმსახურება, ან/და შეუფერებლად იქცევა ამა თუ იმ გაერთიანების ღვთისმსახურების ადგილებში. დაცულია, აგრეთვე, ფილოსოფიური, არარელიგიური გაერთიანებები. ისჯება დაკრძალვის ცერემონიალის და გარდაცვლილთა სიმშვიდის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 166-168-ე მუხლები).

ფინეთში პირი, რომელიც საჯაროდ მკრეხელობს ღმერთის მიმართ ან შეურაცხყოფის მიზნით საჯაროდ სწამებს ცილს ან ამცირებს იმას, რაც სინმინდედ არის აღიარებული ეკლესიის ან რელიგიური საზოგადოების მიერ, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, მაქსიმუმ ექვსი თვის ვადით (სისხლის სამართლის კოდექსი, თავი 17, მუხლი მე-10).

იტალიაში, სისხლის სამართლის კოდექსის 403-406-ე, 724-ე მუხლების მიხედვით ისჯება ღვთის გამოხატვის (რომელ რელიგიასაც უნდა ეხებოდეს იგი), სასულიერო პირების შეურაცხყოფა მათი რელიგიური მოწოდებებიდან გამომდინარე, საკულტო ნივთების შეურაცხყოფა, რელიგიური ცერემონიებისათვის ხელის შეშლა. სანქცია - ჯარიმა ან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

ავსტრიაში, სისხლის სამართლის კანონის 188-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც დასცინის ან მასხრად იგდებს პირს, ეკლესიას, რელიგიურ ერთობას, თავყანისცემის საგანს ავსტრიის ტერიტორიაზე, ან რელიგიურ დოქტრინას, კანონით დაშვებულ ტრადიციას, კანონიერ დანესებულებას, რომელიც ეკლესიას ან რელიგიურ ერთობას ექვემდებარება, ისეთ გარემოებაში, როდესაც ასეთმა ქცევამ

შეიძლება გამოიწვიოს მშვიდობის დარღვევა, ისჯება პატიმრობით ექვს თვემდე ან ჯარიმით 360 ლლურ შენატანამდე.

საბერძნეთში პირი, ვინც საჯაროდ და წინასწარი განზრახვით და ნებისმიერი საშუალებით მკრეხელობს ღმერთის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს ორი წლისა. ვინც მკრეხელურად საჯაროდ ავლენს უპატივცემულობას ღვთის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს სამი თვის ვადით, ხოლო ვინც საჯაროდ და წინასწარ განზრახვით და ნებისმიერი საშუალებით მკრეხელობს ბერძნული ეკლესიისა და საბერძნეთში აღიარებული სხვა რელიგიების მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს ორი წლისა. (198-ე და 199-ე მუხლები).

პოლონეთში ის, ვინც შელახავს რელიგიურ გრძნობებს ღვთისმსახურების საგნის ან ადგილის მიმართ საჯარო ცილისწამებით, ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით, მაქსიმუმ, 2 წლამდე ვადით (მუხ.196-ე).

მსგავსი დებულებები შეიძლება, ასევე, ვნახოთ კვიპროსის, უნგრეთის, მალტის, ირლანდიის, დანიის და სხვ. ასევე ევროკავშირის არაწევრი ისლანდიის, ნორვეგიის და შვეიცარიის კანონდებლობაში.

### სასამართლო პროცესები

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული მუხლებით პირის გასამართლება ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში იშვიათობაა. ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ნორმები ე.წ. „მკვდარი“ მუხლებია. მიუხედავად ამისა, მაინც არის პრეცედენტები რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის და მკრეხელობისათვის პირის პასუხისმგებლობაში მიცემისა, მათ შორის XXI საუკუნეშიც.

2001 წელს მხატვარ ნეიზლანსკას მიმართ სარჩელი შეიტანეს პოლონეთის ოჯახების ლიგის წევრებმა მის მიერ გამოფენაზე გამოფენილი ნამუშევრის გამო, რომელზეც გამოსა-

ხული იყო მოვარჯიშე ათლეტი ჯვრით, რაზეც დატანილი იყო ფალსის ფოტო. 2003 წელს გდანსკის სასამართლომ მხატვარი დამნაშავედ ცნო 196-ე მუხლის საფუძველზე რელიგიური გრძნობების შელახვისათვის და მიუსაჯა ნახევარი წლით თავისუფლების შეზღუდვა, საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულება და დააკისრა სასამართლო ხარჯების გადახდა. გალერეა, სადაც ნამუშევარი იყო გამოფენილი, დახურეს. 2004 წელს ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა აღნიშნული განაჩენი სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებებში გამოვლენილი დარღვევების (და არა ბრალდების გაბათილების) გამო.

2002 წელს ფრანგი ავტორის, მაიკლ ჰოუელბეკის, წინააღმდეგ დაიწყო საქმის წარმოება. მას ბრალად ედებოდა დისკრიმინაციის, სიძულვილის ან ძალადობის პროვოცირება. თავის ინტერვიუში ჰოუელბეკი ისლამს იხსენიებდა, როგორც „ყველაზე სულელურ რელიგიას“ და აცხადებდა, რომ ყურანის წაკითხვის შემდეგ იგი განადგურებული იყო. მისი ნოველა ამცირებდა მუსულმანურ რელიგიას. მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა ოთხი მუსლიმური ჯგუფი. ასევე, ბრალი წაუყენეს ჟურნალს, რომელმაც ეს ინტერვიუ გამოაქვეყნა. მოსარჩელეთა წრეს შეუერთდა საფრანგეთის ადამიანის უფლებათა ლიგა.

ჰოუელბეკის საქმემ ფრანგ მწერლებსა და ინტელექტუალებში თანაგრძნობა გამოიწვია. ისინი ამ საქმეს სიტყვის თავისუფლებაზე თავდასხმად მიიჩნევდნენ. ბრალდებულის ადვოკატი ემანუელ პიერი აცხადებდა, რომ მწერლებზე ცენზურა დაუშვებელი იყო და რომ გამოხატვის თავისუფლება უმაღლესი სასამართლო პრინციპია. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, მას ემუქრებოდა 18- თვიანი პატიმრობა ან ჯარიმა 70,000 ევროს ოდენობით.

სასამართლოს მოსაზრებით, ჰოუელბეკი გამოხატავდა სიძულვილს ისლამის რელიგიის მიმართ და არა ამ რელიგიის მიმდევრების მისამართით. ამასთან, მისი გამონათქვამები არ ახდენდა სხვების წახალისებას, გაეზიარებინათ ავტორის შეხედულებები. აქედან გამომდინარე, ჰოუელბეკი სასამართლომ დამნაშავედ არ ცნო.

2005 წელს ვარშავის სასამართლოში დაიწყო საქმის წარმოება ლესზეკ ბუბელის წინააღმდეგ. მას ბრალი ედებოდა ადამიანთა ჯგუფის შეურაცხყოფაში ეროვნული, ეთნიკური და რასობრივი კუთვნილების გამო. ბუბელს ეკუთვნის ისეთი გამონათქვამები, როგორებიცაა: „მათი ტვინი წინადაცვეთას განიცდის“, „ებრაელთა თესლი ცბიერია“ და სხვა. 2005 წლის 28 ოქტომბერს სასამართლომ დაადგინა, რომ ბუბელი გასცდა სიტყვის თავისუფლების ფარგლებს. თუმცა მიუხედავად პროკურატურის მოთხოვნისა, სასამართლომ არ შეუფარდა მას თავისუფლების აღკვეთა და ფულადი ჯარიმა დააკისრეს.

2006 წლის 28 აგვისტოს მის მიმართ კვლავ დაიწყო სამართალწარმოება ბოლისტოკის რაიონული პროკურატურის მიერ ეროვნული, ეთნიკური და რასობრივი კუთვნილების გამო პირთა ჯგუფის მიმართ შეურაცხყოფის ბრალდებით. 16 ნოემბერს ათმა ცნობილმა ინტელექტუალმა განაცხადა, რომ ბუბელმა შეურაცხყოფა მიაყენა მათ ანტისემიტური გამონათქვამებით. საბოლოოდ იგი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაიყვანეს.

გერმანიაში ლუდინგჰაუსენის სასამართლომ 2006 წელს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (შეეცვალა ხუთწლიანი პირობითი სასჯელით) და 300 საათი საზოგადოებრივი სამუშაო მიუსაჯა მანფრედ ვან ჰ-ს რელიგიური მრწამსის შეურაცხყოფისთვის, რამაც გამოიწვია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. მან გამოუშვა ტუალეტის ქალაღი წარწერით „ყურანი-წმინდა წიგნი“ და დაუგზავნა მეჩეთებს, ტელევიზიებსა და გამომცემლობებს, როგორც „მუსლიმი ტერორისტების მსხვერპლთა მოსაგონარი“, რამაც ისლამურ წრეებში შემფოთება გამოიწვია. ირანმა ოფიციალური ნოტიო მიმართა გერმანიის ხელისუფლებას, რასაც მოჰყვა მისი დაკავება და გასამართლება.

სეპო ლეტო გახლდათ ფინელი ნაციონალისტი, ცნობილი ბლოგერი, რომელმაც თავდაპირველად სახელი გაითქვა პოლიტიკოსებისა და რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წევრების დამცირებით. ამ ქმედებების გამო ლეტოს უკვე ჰქონდა შეფარებული პირობითი სასჯელი 3

თვის ვადით. თუმცა იგი კიდევ უფრო ცნობილი გახდა ინტერნეტ სივრცეში ატვირთული ვიდეოთი, რომელშიც მუჰამედი მორგებული იყო ცხოველების სურათებს.

2008 წლის 30 მაისს ტამპერეს რაიონულმა სასამართლომ ლეტოს მიუსაჯა 2 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა იმ მოტივით, რომ იგი ახდენდა ეთნიკური შუღლისა და რელიგიური სიძულვილის პროვოცირებას.

2009 წელს ჰოლანდიაში ორი ინსტანციის სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე, აღძრული გერტ ვილდერსის მიმართ. მან საცხოვრებელი სახლის სარკმელზე გამოფინა პოსტერი წარწერით - „შეაჩერეთ სიმსივნე, სახელად ისლამი“. ამსტერდამის პირველი ინსტანციის სასამართლომ, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით, დაადგინა ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის რელიგიის შეურაცხყოფა და მას მიუსაჯა პირობითი სასჯელი. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა ქვეყნის უზენაეს სასამართლოში, რომელმაც იგი დამნაშავედ არ ცნო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეები

„ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (1976წ.) - ამ საქმეზე განმცხადებელმა - ლონდონის ერთ-ერთი გამომცემლობის მეპატრონემ, გამოსცა „პატარა ნითელი სახელმძღვანელო“. ნიგნი განკუთვნილი იყო 12-დან 18 წლამდე სასკოლო და შემდგომი ასაკის ბავშვებისათვის. ის მოიცავდა თავებს სექსზე, ხოლო ქვეთავები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: კონტრაცეფცია, მენსტრუაცია, აბორტი, მასტურბაცია, ჰომოსექსუალიზმი, პორნოგრაფია და ა.შ. აგრეთვე, მისამართებს სექსთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციისათვის. დიდი ბრიტანეთის სასამართლომ აკრძალა ნიგნის გამომცემა. ბ-ნმა ჰენდისაიდმა მიიჩნია, რომ მასთან მიმართებით დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი, სახელმწიფო უსაფუძვლოდ ჩაერია მის უფლებებში და საჩივარი შეიტანა

სტრასბურგის სასამართლოში.

სასამართლომ დაადგინა, რომ შეუძლებელია, წევრ სახელმწიფოებში არსებობდეს ზნეობის ერთიანი, ევროპული კონცეპტუალური აღქმა. შესაბამისად, საზოგადოებრივი „მორალის დაცვასთან“ დაკავშირებით სახელმწიფოებს შეფასების ფართო ზღვარი აქვთ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, ადგილობრივ ხელისუფლებას მეტი შესაძლებლობა აქვს, განსაზღვროს, რა არის მისი საზოგადოებისთვის მორალური, აგრეთვე, რამდენად საჭიროა, ზნეობის დაცვისთვის დაწესდეს შეზღუდვა/ სასჯელი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველია, ისევე, როგორც პროგრესის და თითოეული პირის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ნიშნული.

ამასთან, სასამართლომ შეშფოთება გამოხატა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ პუბლიკაცია განკუთვნილი იყო 12-18 წლის მოზარდებისათვის და იგეგმებოდა მისი ფართო გავრცელება. თუმცა წიგნი, ასევე, შეიცავდა სასარგებლო, ფაქტობრივად, სწორ ინფორმაციას, მას მაინც შეიძლება ნეგატიური ზემოქმედება მოეხდინა შთაბეჭდილებების ზეგავლენის ქვეშადვილადმოქცევადფსიქიკაზე და კანონსაწინააღმდეგო ქმედებისკენაც კი ებიძგებინა ახალგაზრდებისათვის. ხელისუფლების ორგანოებს ხელი არ შეუშლიათ „პატარა წითელი სახელმძღვანელოს“ (კონკრეტულ ნაწილებში) მნიშვნელოვნად გადამუშავებული ვარიანტის გამოცემისთვის. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოების ქმედება ნაკარნახევი და შეზღუდული იყო „მკაცრი საჭიროების/ აუცილებლობის“ ჩარჩოთი. საჩივარი არ დაკმაყოფილდა, განმცხადებლის უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე დარღვეულად არ იქნა ცნობილი.

**„მიუღერი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ“ (1988წ.)** - საქმე შეეხებოდა 1981 წელს თანამედროვე ხელოვნების გამოფენაზე გამოფენილ ნახატებს, რომლებიც ასახავდა გარყვნილების, მასტურბაციის

და ჰომოსექსუალიზმის აქტებს. ასევე, ადამიანებსა და ცხოველებს შორის სექსუალური ურთიერთობის უხამს სცენებს.

ფართო საზოგადოებას თავისუფლად მიუწვდებოდა ხელი ნახატებზე, რადგან გამოფენაზე არ იყო დაწესებული რაიმე ასაკობრივი ცენზი ან ფასი. შვეიცარიის სასამართლომ ბ-ნ მიუღერს და გამოფენის ორგანიზატორებს დააკისრა ჯარიმა და ნახატების კონფისკაცია მოახდინა. მიუღერმა და ორგანიზატორებმა სტრასბურგის სასამართლოს მიმართეს მე-10 მუხლის დარღვევის მოტივით.

ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ მიუთითა ზნეობის არაერთგვაროვან ინტერპრეტაციაზე წევრი სახელმწიფოების მასშტაბით. იქვე აღნიშნა, რომ ამ მხრივ ეროვნულ სასამართლოებს, საერთაშორისოსთან შედარებით, უკეთ შეუძლიათ მოცემული ქვეყანის ზნეობრივი საკითხების შეფასება, სახელმწიფოში არსებული რეალობის გათვალისწინებით. ამგვარად, ეროვნული ხელისუფლებისთვის ევროპული სასამართლოს მიერ დატოვებული შეფასების ზღვარი „ზნეობის“ საკითხებთან დაკავშირებით ფართოა. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ეროვნული სასამართლოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ გამოსახულება „უხეშად შეურაცხყოფდა ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის გრძობას და უხამსობისაკენ წარმართავდა მნახველის ყურადღებას“. ამასთან, ნახატების შეუზღუდავად ჩვენება ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ისახავდა მიზნად.

სტრასბურგის სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებაში ზემოხსენებული ჩარევა მიიჩნია გონივრულად და „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შესაბამისად, არ დაკმაყოფილდა საჩივარი კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევაზე.

**„ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ“ (1994წ.)** - ამ საქმეში ავსტრიის ხელისუფლებამ აკრძალა სატირული ფილმის ჩვენება, რომელიც უღირსად წარმოაჩენდა ქრისტესა და ღვთისმშობელს, რაც, მათი აზრით, მკრეხელური შინაარსის იყო და



შეურაცხყოფდა ტიროლის მოსახლეობის უმრავლესობის - აღმსარებლობით რომაული კათოლიკური ეკლესიის მიმდევართა რელიგიურ გრძნობებს.

მოცემულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ გამოკვეთა ე.წ. „შეფასების ზღვრის“ კონცეფცია, რომელიც ჩამოაყალიბა ევროპის საბჭოში შემავალი ქვეყნების ზნეობრივ ღირებულებებსა და ტრადიციებს შორის განსხვავების გათვალისწინებით. „შეფასების ზღვრის“ კონცეფციის შესაბამისად, ეროვნულ ხელისუფლებებს ენიჭებათ გარკვეული დისკრეტია ზნეობრივ საკითხებზე მსჯელობისას.

სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში (კონვენციის მე-10 მუხლი) ჩარევა კანონიერი იყო. მან გაიზიარა ავსტრიის მთავრობის აზრი, რომ ფილმის ჩამორთმევა და დაყადაღება განპირობებული იყო „სხვათა უფლებების დაცვით“, სახელდობრ, სხვების რელიგიური გრძნობების პატივისცემის ვალდებულების დაცვით და „არეულობის თავიდან აცილების“ მიზნით. შესაბამისად, არ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

**“ვინგროვი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ” (1996წ.)**-ბრიტანელმარეჟისორმა ვინგროვმა გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ვიდეოფილმი საკუთარი სცენარის მიხედვით, სახელწოდებით „ექსტაზური ხილვანი“. 18 - წუთიანი ფილმი არ შეიცავდა არც ერთ დიალოგს. იყო მხოლოდ კადრები მუსიკის ფონზე. ფილმი ქრისტიანი წმინდანი ქალის, ტერეზა ავილელის ეროტიკულ ფანტაზიებს ასახავდა ქრისტესთან მიმართებით. განმცხადებლის თანახმად, იდეას საფუძვლად წმ. ტერეზას ცხოვრება და მწერლობა დაედო.

გარდა ტიტრებისა, რომელიც ეკრანზე მხოლოდ რამდენიმე წუთით ჩნდებოდა, არსად იყო მინიშნება იმაზე, რომ თეთრებში ჩაცმული ქალი ფილმში ტერეზა ავილელია, ხოლო დამატებითი პერსონაჟი მის ფსიქიკას ასახიერებს. ასევე, არსად ჩანდა მცდელობა ფილმის ისტორიული წინაპირობის ახსნისა. „ბრიტანეთის ფილმების კლასიფიკაციის

საბჭომ“, რომელიც კინემატოგრაფიული პროდუქციის გაყიდვის, გაქირავების ან სხვა გზით გასაჯაროებაზე თანხმობის გამცემი სახელმწიფო ორგანოა, უარი თქვა ვინგროვის ფილმისთვის კლასიფიკაციის სერტიფიკატის გაცემაზე. გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებამ აკრძალა ფილმი იმის საფუძველზე, რომ იგი მკრეხელური იყო და არღვევდა ქვეყნის შესაბამის კანონს.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების მოქმედება ცნო, როგორც „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ საზოგადოებრივი მორალისა და სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

სასამართლომ დაასკვნა, რომ ევროპის საბჭოს ქვეყნების მასშტაბით ჯერჯერობით არ არსებობს საერთო სამართლებრივი და საზოგადოებრივი საფუძველი, რომ „მკრეხელობის შესახებ“ კანონი დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოუსადეგრადარასაჭიროდ იქნეს ცნობილი. კონვენციის მე-10.2 მუხლი ძალზე ვიწრო ფარგლებში უშვებს შეზღუდვებს პოლიტიკურ გამონათქვამებზე, აგრეთვე, საჯარო ინტერესის მქონე საკითხების გარშემო დისკუსიაზე. სამაგიეროდ, შეფასების ფართო ზღვარია დანესებული საკითხებზე, რომლებიც პოტენციურად შეურაცხყოფს პირად მრწამსს/შეხედულებას რელიგიისა თუ მორალის სფეროში. აქვე, სტრასბურგის სასამართლომ გაიმეორა, რომ ეროვნულ სასამართლოებს შედარებით უკეთ შეუძლიათ მოცემულ ქვეყანაში ზნეობრივი საკითხების შეფასება, მათ შორის, „შეზღუდვის დანესების საჭიროების“ დადგენაც.

სასამართლომ ფილმის აკრძალვა ბრიტანული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან შეაფასა, როგორც „ეროვნული შეფასების ზღვარში“ მოქცეული აკრძალვა, რომელიც აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აღნიშნული გადაწყვეტილება ფილმის ეკრანზე გამოსვლას კრძალავდა. მათივე აზრით, ფილმი მხოლოდ და მხოლოდ „მაყურებლის ეროტიკული გამოცდილების“ გაღვივებას ემსახურებოდა და არავითარი შინაარსობრივი

დატვირთვა არ ჰქონდა. ამასთან, ბ-ნ ვინგროვმა უარი განაცხადა კინემატოგრაფიული პროდუქციის ჩასწორება/შეცვლაზე, ხოლო ხელისუფლებას კანონსანინალმდეგო ქმედების აღკვეთის ვალდებულება ჰქონდა (სისხლის სამართლებრივი დარღვევა). ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიზანშეწონილად ცნო ეროვნული სასამართლოს მსჯელობა და არ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

**„გინიევსკი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (2006წ.)** - 1994 წელს გაზეთმა „Le quotidien de Paris“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო პაპის ერთ-ერთი ქადაგება. მასში ნათქვამი იყო, რომ კათოლიკური ეკლესიის ისტორიული ანტიუდეველობა ანტისემიტიზმის საწინდარი გახდა და რომ მან საბოლოოდ გაუხსნა გზა ოსვენციმს. სტატიის ავტორი გახლდათ ჟურნალისტი, სოციოლოგი და ისტორიკოსი პაულ გინიევსკი. სტატია შეიცავდა კათოლიკური ეკლესიის კონკრეტული დოქტრინის კრიტიკულ ანალიზს და მის შესაძლო კავშირს ჰოლოკოსტის დასაწყისთან. აღნიშნულ სტატიასთან დაკავშირებით რასიზმის საწინააღმდეგო და ფრანგული და ქრისტიანული მეობის დაცვის ალიანსის მიერ შეტანილ იქნა საჩივარი, რომ სტატია შეიცავდა რასობრივად ცილისმწამებლურ განცხადებებს. პირველი ინსტანციის ადგილობრივმა სასამართლომ აღნიშნული საჩივარი დააკმაყოფილა და სტატიის ავტორი ცილისმამებაში დაადანაშაულა. ორლენის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გინიევსკის უნდა აენაზღაურებინამიყენებული ზიანი მოსარჩელე მხარისათვის და რომ ეს გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნებულიყო ადგილობრივ გაზეთში მათივე ხარჯებით. ორლენის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატია იყო ცილისმწამებლური კონკრეტულ პირთა ჯგუფის მიმართ მათი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კუთხით. განმცხადებელმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა საფრანგეთის უზენაეს სასამართლოში, თუმცა მისი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. გინიევსკიმ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოხატვის თავისუფლებაზე არსებული შეზღუდვები მკაცრად უნდა იყოს განმარტებული. საქმეში წამოჭრილმა საკითხმა, რომელიც ეხება კათოლიკური ეკლესიის მიერ მოწონებულ დოქტრინას რელიგიურ თემატიკაზე, აჩვენა, რომ სტატია გამოხატავდა არა პირთა რელიგიურ რწმენაზე თავდასხმას, არამედ განმცხადებლის, როგორც ისტორიკოსისა და ჟურნალისტის, პოზიციას. მეტიც, სტატია არ იყო შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი და არ აღვივებდა უპატივცემულობას ან სიძულვილს.

სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ფრანგული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებისას გათვალისწინებული მიზეზები ვერ ჩაითვლება საკმარისად იმისათვის, რომ განხორციელდეს გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევა. კერძოდ, ჟურნალისტის სტატიას ჰოლოკოსტის მიზეზებთან დაკავშირებით მიმდინარე ფართო საზოგადოებრივ ბჭობაში წვლილი შეჰქონდა და მასში გამოყენებული გამონათქვამები არ იყო რელიგიური მრწამსის უსარგებლო შეურაცხყოფა ან მასზე თავდასხმა, არ იყო დაშორებული თანამედროვე საზოგადოების აზრს, არ ქადაგებდა სიძულვილს ან ძალადობას და ეჭვქვეშ არ აყენებდა, არ აკნინებდა რომელიმე ისტორიულად დადგენილ ფაქტს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა და გადაწყვეტილება გინიევსკის სასარგებლოდ გამოიტანა.

**„ტატლავი თურქეთის წინააღმდეგ“ (2006წ.)** - 1992 წელს სტამბულში მცხოვრებმა ჟურნალისტმა ერდოღან აიღინ ტატლავმა, გამოაქვეყნა ხუთტომეული სათაურით „რეალობა ისლამის შესახებ“. პირველ ტომში იგი აკრიტიკებდა ყურანს და, ზოგადად, ისლამს, როგორც რელიგიას, რომელიც აკანონებს სოციალურ უთანასწორობას და წარმოაჩენს მას როგორც „ღვთის ნებას“. წიგნის მეხუთე ტომთან დაკავშირებული საჩივარის გამო 1996 წელს ჟურნალისტის მიმართ დაიწყო სისხლის

სამართლებრივი დევნა „ღმერთის, რელიგიის, წინასწარმეტყველისა და წმინდა წიგნის შეურაცხყოფისთვის“. (თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლი). პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჟურნალისტს მიესაჯა 2 წლის თავისუფლების აღკვეთა, რომელიც შემდგომში ჯარიმით შეეცვალა.

მისაღწევად. შესაბამისად, სასამართლო ერთხმად დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

ტატლავმა საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომ მისი განაჩენი იყო შეუსაბამო კონვენციის მე-10 მუხლთან, რომელიც ეხება გამოხატვის თავისუფლებას „სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ჩაურევლად“. სასამართლომ არსებითად შეაფასა, რამდენად ლეგიტიმურად განხორციელდა ჩარევა განმცხადებლის უფლებაში და რამდენად იყო სხვა პირთა უფლებები ლეგიტიმური „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“. სასამართლომ მიიჩნია, რომ წიგნის გარკვეული ეპიზოდები შეიცავდა ისლამის მკაცრ კრიტიკას სოციალურ-პოლიტიკურ ჭრილში, მაგრამ არ ჰქონდა შეურაცხმყოფელი ტონი და არ შეიცავდა შეურაცხმყოფელ თავდასხმას მუსულმანებზე ან მათ წმინდა სიმბოლოებზე. სასამართლომ არ გამოორიცხა, რომ მუსულმანები, შესაძლოა, განაწყენებულნი ყოფილიყვნენ წიგნში გამოთქმული მწვავე კომენტარების გამო, მაგრამ ეს არ იყო საკმარის მიზეზი იმისათვის, რომ წიგნის ავტორის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელებულიყო. ტატლავის მიმართ გამოყენებულ სასჯელთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლებრივი სასჯელი, და მეტიც, თავისუფლების აღკვეთის რისკი, შესაძლოა, გახდეს საფუძველი ავტორებისა და რედაქტორების მხრიდან რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმის შეზღუდვისა და გამოიწვევს პლურალიზმის დაცვის შეფერხებას, რაც თავის მხრივ შეუცვლელია ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

საქმის ყველა ამ ელემენტის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ თურქეთის სახელმწიფოს ქმედება იყო არაპროპორციული ლეგიტიმური მიზნის

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

**მონიკა მაკოევი:** „გამოხატვის თავისუფლება“, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, თარგმანი, ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, 2005წ.

**ლ. ალექსიძე, ლ.გიორგაძე, მ. კვაჭაძე, კ. კორკელია, ირ. ქურდაძე:** „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი“, ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი, 2005წ.

**ევ. გოცირიძე:** „გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში“ (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით), თბილისი, 2008წ.

**თ. წულუკიანი:** „აზრის გამოხატვის თავისუფლება და რელიგიის თავისუფლება“, სტატია, ხელმისაწვდომია -<http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619775&kat=285>

## ავტორთა შესახებ

კავშირი “21-ე საუკუნე” დაარსდა 1998 წლის 9 დეკემბერს, როგორც არაპოლიტიკური, არამომგებიანი, არასამთავრობო ორგანიზაცია. იგი რეგისტრირებულია ქ. თბილისის საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ. ორგანიზაციის ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში.

ორგანიზაცია საქმიანობას ახორციელებს მუდმივმოქმედი პროგრამებისა და განსაკუთრებული ინიციატივების მეშვეობით. იგი ჩართულია რეგიონალურ და საერთაშორისო პროექტებში უცხოელ და ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად.

ჩვენი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და მიღწეული შედეგების განხორციელების მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობთ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან.

ორგანიზაცია ახორციელებს აქტიურობებს, რომელიც მოიცავს: საერთაშორისო კონფერენციებს, ტრენინგებს, დისკუსიებს. მუშაობს საკანონმდებლო სფეროში, ფართო საგანმანათლებლო ღონისძიებებს და ა.შ.

ორგანიზაციას ეკუთვნის არაერთი გამოცემა და თარგმანი ადამიანის უფლებების, რელიგიის თავისუფლების, სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

## იმპრესარიუმი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | თბილისის ოფისი  
ნინო რამიშვილის ქ. 4 / 0179, თბილისი | საქართველო  
პასუხისმგებელი პირი:  
ფელიქს ჰეტი | სამხრეთ კავკასიის  
რეგიონული ოფისის დირექტორი  
ტელ: +995 32 225 07 28  
<http://fes-caucasus.org/>

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:  
[stiftung@fesgeo.ge](mailto:stiftung@fesgeo.ge)

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

Friedrich-Ebert-Stiftung | Tbilisi Office  
N. Ramishvili str. 4 | 0179, Tbilisi | Georgia  
Responsible:  
Felix Hett | Director, FES Regional Office South Caucasus  
Tel.: +995 32 225 07 28  
<http://fes-caucasus.org/>

To order publications:  
[stiftung@fesgeo.ge](mailto:stiftung@fesgeo.ge)

Commercial use of all media published by the Friedrich-Ebert-Stiftung (FES) is not permitted without the written consent of the FES.

## ინფორმაცია ორიგინალური პუბლიკაციის შესახებ

ISBN 978-3-96250-055-9

Friedrich-Ebert-Stiftung | International Policy Analysis  
Hiroshimastr. 28 | 10785 Berlin | Germany  
Responsible:  
Dr. Michael Bröning, Head, International Policy Analysis  
Tel: +49-30-269-35-7706 | Fax: +49-30-269-35-9248  
[www.fes.de/ipa](http://www.fes.de/ipa)

Orders / Contact:  
[info.ipa@fes.de](mailto:info.ipa@fes.de)

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოზიციას.